ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 7 - 3/89.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(საქონლის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

CPV33600000

ქ. თბილისი 9 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა", მდებარე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N21 (შემდგომში, „შემსყიდველი"), მისი გენერალური დირექტორის ლია ძიძიგურის სახით და მეორეს მხრივ შპს „ნუგეში", მდებარე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N35/37 (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი სიბაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის" მიერ ფარმაცევტული პროდუქტების (შემდგომში საქონელი) შესყიდვა.

1.2 საქონლის ზუსტი დასახელება და პარამეტრები მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართი N1-ში, რაც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც განუყოფელი ნაწილი.

1.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 834.00 (რვაას ოცდათოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის გადასახადებს.

2.3 შესყიდვის ობიექტის ფასის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი და გარანტია

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასტურდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა თუ რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

3.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტი – სასაქონლო ზედნადები ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

3.4 საგარანტიო ვადა შეადგენს მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან არანაკლებ 3 (სამი) თვეს.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.1. ანაზღაურება „მიმწოდებელთან" განხორციელდება მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან დარჩენილი თანხა რჩება „შემსყიდველთან" და იგი არ წარმოშობს მხარეებს შორის რაიმე დამატებით ვალდებულებებს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.1.1 უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.1.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის საქონლის მიწოდება.

5.2.2. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ამ ხელშეკრულებისა და ხელშეკრულების დანართი N1-ის პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო თუ ადგილი ექნება ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას ასეთ შემთხვევაში პირგასამტეხლო შეადგენს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.1%–ს.

6.2. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები.

10. დამატებითი პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავების განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

თსსუ-ს „გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა“
მისამართი: ლუბლიანას ქუჩა N21
საიდენტიფიკაციო ნომერი: 211328703
სახელმწიფო ხაზინა,
კოდი: TRESGE22
ა/ა: 708987301

„მიმწოდებელი“

შპს „ნუგეში“

ქ. თბილისი, შარტავას ქ, N35/37
საიდენტიფიკაციო ნომერი: 211385507
ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE69BG0000000327535200

გენერალური დირექტორი ----------

---------- **დირექტორი**

დანართი N1

2016 წლის 1 დეკემბერი N ჟ-3/ ხელშეკრულებაზე

N	დასახელება	გენერიული დასახელება და ზუსტი მახასიათებლები	მწარმოებელი	ქვეყანა	რაოდ.	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	იმუნოგლობულინი 2.5 მგ. ფლაკონი.	Ig VENA 50გ/ლ, 2,5 გ/50 მლ, ფლაკონში	KEDRION SpA	იტალია	3	278	834.00
	სულ:						834.00

„შემსყიდველი“

გენერალური დირექტორი ----------

„მიმწოდებელი“

---------- დირექტორი